24.01.2024წ.

განმარტებითი ბარათი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 26 დეკემბრის N29 დადგენილებაში „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე

I. წარმოდგენილი ბიუჯეტის ცვლილებების პროექტში იცვლება შემოსულობების და გადასახდელების მოცულობები. ცვლილება გამოწვეულია „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2402 განკარგულებით მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფით, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2401 განკარგულებით „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფით, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N 2400 განკარგულებით „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფით, საქართველოს მთავრობის 2024 წლის 15 იანვრის N 56 განკარგულებით „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ (საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირება) მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფით და წლის დასაწყისისთვის მუნიციპალიტეტის ანგარიშზე არსებული ნაშთის ორგანიზაციულ კოდებს შორის გადანაწილებით:

II. იზრდება შემოსულობები 6 965 690 ლარით და ხდება 29 238 540 ლარი. მათ შორის:

1. იზრდება გრანტები 6 965 690 ლარით და ხდება 7 319 640 ლარი.

III. მიმდინარე პერიოდის ნაშთის ცვლილება განისაზღვრა - 7 918 118 ლარის ოდენობით.

IV. იზრდება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები 11 887 608 ლარით და ხდება 37 156 658 ლარი. მათ შორის:

1. ინფრასტრუქტურის განვითარების დაფინანსება განისაზღვროს 16 465 639 ლარით.
2. დასუფთავებისა და გარემოს დაცვის დაფინანსება განისაზღვროს 2 105 700 ლარით.
3. განათლების დაფინანსება განისაზღვროს 5 451 474 ლარით.
4. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის დაფინანსება განისაზღროს 2 134 417 ლარით.
5. ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის დაფინანსება განისაზღვროს 5 790 371 ლარით.

აღნიშნული ცვლილებით, ბიუჯეტის გეგმაში შესატანი, განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ ინფორმაცია იხილეთ დანართში.

V. შემოთავაზებული ცვლილებების პროექტით ცვლილებები უნდა შევიდეს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 26 დეკემბრის N29 დადგენილებაში „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“.

VI. ბიუჯეტის ცვლილებების პროექტის დამტკიცების ოპტიმალურ ვადად მიჩნეულია 2024 წლის თებერვლის თვის პირველი დეკადა.

VII. ბიუჯეტის ცვლილებების პროექტს წარადგენს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერი და საფინანსო სამსახურის უფროსი.

საფინანსო სამსახურის უფროსი: /გიორგი მანგოშვილი/

დანართი

N	ნორმატიული აქტი	დასახელება	მთლიანი ღირებულება	სახელმწიფო ბიუჯეტი	ადგილებრივი ბიუჯეტი
1		სოფელ აფენის ადმინისტრაციულ ერთეულში მრვალფუნქციური დასასვენებელი სკვერის მოწყობა	55863		55863
2		ზაქათლის ქუჩაზე ხელოვნურსაფარიანი სტადიონის მოწყობა/რეაბილიტაცი	1317		1317
3		ზაქათლის ქუჩაზე არსებული კორპუსების ფასადის და ეზოს რეაბილიტაცია	120945		120945
4		ქ.ლაგოდეხში დავით აღმაშენებლის ქუჩის რეაბილიტაცია	109623		109623
5		ქ.ლაგოდეხში დემეტრე თავდადებულის ქუჩის რეაბილიტაცია	79550		79550
6		ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შენობის რეაბილიტაცია	180658		180658
7		ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინიგორში და სოფელ მაწიმში არსებული ავარიული შენობების სადემონტაჟო სამუშაოები	77200		77200
8		ქ.ლაგოდეხში კუდიგორის ქუჩაზე სანიაღვრე არის მოწყობა	33548		33548
9		სოფ.შრომაში კავკასიონის ქუჩაზე სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია	9490		9490
10		სოფ.შრომაში სტალინის ქუჩაზე სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია	24550		24550
11		სოფ.გვიმრიანში სანიაღვრე არხის მოწყობა	57587		57587
12		სოფელ ჭაბუკიანის და სოფელ ონანაურის დამაკავშირებელ გზაზე რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობა	16598		16598
13		ქეთევან ალუღიშვილის საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაცია	33000		33000
14		ქ.ლაგოდეხში (ინტერნატებთან) სანიაღვრე არხის მოწყობა	78375		78375
15	N2476	2023წ. სოფლის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები	58643.62	58643.62	
16	N2401	2024წ. სოფლის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები	930000	930000	
17	N116	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები	3934970.59	3934970.59	
18	N2400	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები	242000	242000	
19	N56	2024წ. მოსწავლეების ტრანსპორტირება	653274	653274	
20	N2402	სოფელ თელაში ქუჩების (ტყის უბანი) სარეაბილიტაციო სამუშაოები	1000000	950000	50000
21	N2402	სოფელ ნინიგორში (კიროვკის უბანი) გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები	1900000	1805000	95000
22	N2402	სოფელ ზემო გურგენიანში (ბარბაქაძეების უბანი) შიდა სასოფლო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები	510965	485416	25549
23	N2402	სოფელ დავითიანში შიდა სასოფლო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები (პირველი ეტაპი)	1000000	950000	50000
24	N2402	სოფელ აფენში მეორე ცხაკაიაზე სანიაღვრე არხების მოწყობა	1000000	950000	50000